საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს

გადაწყვეტილება № 65

2016 წ. "26" 07

ქ. თბილისი

სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტ ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის ტურიზმის მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციაზე უარის თქმის შესახებ

დაწესებულების მიერ თვითშეფასების ანგარიშში ასახული ინფორმაციის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2016 წლის 26 ივლისის სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, ,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,გ" ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 28-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტ ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის ტურიზმის მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას უარი ეთქვას აკრედიტაციაზე.
2. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2016 წლის 26 ივლისის №7 სხდომის ოქმის მესამე ნაწილი ცნობილ იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.
3. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება კანონმდებლობით დადგენილი წესით შესაძლებელია მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის ქ. №1 ან ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6.

თავმჯდომარე
მაგდა მაღრაძე

მდივანი
თუთა ნარმანია